

Wounded Warrior Support Foundation



WWSF

დაჭრილ მებრძოლთა
თანადგომის ფონდი

ფონდის საქმიანობის
აგვარისი/2020

FUND ACTIVITY
REPORT/2020



SILKNET
სილქნეტი

www.wwsf.ge



გიორგი რამიშვილი:

„დაჭრილ მებრძოლთა თანადგომის ფონდის“ გამგეობის თავმჯდომარე

გვინდა სოლიდარობა გამოვუცხადოთ ჩვენს დაჭრილ მებრძოლებს და მხარში დავუდგეთ მათ, ვიზრუნოთ მათი ღირსეული ყოფისთვის, განსაკუთრებით ამ მძიმე დროს. უდიდესი მონივნება და მაღლიერება ჩვენი მხრიდან ამ ფონდის დაფუძნებით გამოვხატეთ და გვინდა რომ ყველამ ერთად დავაფასოთ ეს ადამიანები, ვინც ჩვენი ქვეყნის უკეთეს მომავლისთვის იბრძოდნენ.

GEORGE RAMISHVILI:

Head of Supervisory Board of “Wounded Warrior Support Foundation”

We want to extend solidarity and support to our wounded warriors and help in providing for them to live a decent life, especially in the midst of challenging times the world is facing now. We have founded the WWSF with the intention to express our deep respect and gratitude towards these people who fought for for a better future of our country and our wish would be that many others join us s in appreciating their fortitude.



დავით მამულაიშვილი:

„დაჭრილ მებრძოლთა თანადგომის ფონდის“ გამგეობის წევრი და გენერალური დირექტორი

მზადყოფნა დაიცვა სამშობლო საკუთარი სიცოცხლის და ჯანმრთელობის ფასად გმირობაა. დღეს საქართველოში გვყავს ასეთი გმირები, ვინც იბრძოლა და მძიმე ფიზიკური და სულიერი ტრამაზები მიიღო. ჩვენი ვალაია და დიდი პატივია მათ მხარდაჭერა გამოვუცხადოთ და ამაში საზოგადოება შემოვიერთოთ. ფონდის დახმარება მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად არის ჩვენი მხრიდან მაღლიერების გამოხატვა მათი თავგანწირვის და მამაცობისთვის.

DAVID MAMULAISHVILI:

**“Wounded Warrior Support Foundation”,
Member of Supervisory Board and General
Director**

People who sacrifice their lives and well-being defending their homeland are real heroes. We have such heroes around us, those who fought for our country and sustained heavy physical and mental injuries. We regard it our duty and a great honor to stand by their side and enroll Georgian community into this honorable cause. Support rendered by our foundation for improving their everyday lives is the way of expressing our gratitude for their devotion and their bravery.



WWSF

**დაჭრილ მებრძოლთა
თანადგომის ფონდი**

ადამიანები, რომლებმაც მძიმე ფიზიკური და მორალური ტრამვები მიიღეს ჩვენი უსაფრთხოებისთვის და ჩვენი სამშობლოს ერთიანობისათვის ბრძოლაში, ჩვენგან დიდ მოწინებას და პატივისცემას იმსახურებენ. ისინი თავისი ჯანმრთელობის და კეთილდღეობის ფასად იცავდნენ ჩვენს მომავალს. დღეს ჩვენი ვალია, მხარში დავუდგეთ მათ.

ფონდი მადლობას უხდის ყველა კერძო პირს თუ ორგანიზაციას, რომელიც შეუერთდა ფონდის საქმიანობას და შემოწირულობა გაიღო ჩვენი დაჭრილი მეომრების დასახმარებლად.



WWSF

**Wounded Warrior
Support Foundation**

Those who endured heavy physical and spiritual trauma in battles for our security and the freedom of our country deserve our profound appreciation and bow. Today we owe them our future, which they stood for at the price of their health and wellbeing. And it is now our turn to give back and stand by them.

Foundation thanks every individual and company, who joined the fund's activities by donating in support of our wounded warriors.

„დაჭრილ მებრძოლთა თანადგომის ფონდი“ დაარსებიდან მუდმივად ახორციელებს გამჭვირვალე და ღია საქველმოქმედო საქმიანობის საგადასახადო და ფინანსური ანგარიშგების აუდიტს. ფონდის ფინანსურ აუდიტს აწარმოებს დიდი ოთხეულის საერთაშორისო აუდიტორულ ქსელში შემავალი გლობალური ორგანიზაცია KPMG-ის წევრი კომპანია, KPMG Georgia.

„დაჭრილ მებრძოლთა თანადგომის ფონდს“ საქმიანობა არც კანდემიის პერიოდში შეუჩერებია. ჩატარებული საგადასახადო და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საფუძველზე, რომლის მიზანი იყო ფონდის წელიწადნახევრიანი საქმიანობის მართებულობისა და გამჭვირვალეობის დადასტურება და ფონდის მიერ დეკლარირებულ კრიტერიუმებთან მისი თანხვედრა, ფონდმა საქართველოს შემოსავლების სამსახურისგან ოფიციალურად მიიღო საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსის დამადასტურებელი მოწმობა.

აღნიშნული სტატუსის საფუძველზე, ფონდი საქართველოს კანონმდებლობით თავისუფლდება საშემოსავლო გადასახადის ვალდებულებისაგან. ამ გადასახადის ტოლფასი თანხები კი სრულად მოხმარდება ფონდის ბენეფიციარებს, რაც, სამომავლოდ „დაჭრილ მებრძოლთა თანადგომის ფონდს“ საშუალებას მისცემს, კიდევ უფრო გააფართოვოს თავისი საქმიანობა.

„Wounded Warrior Support Foundation“ runs transparent and open tax and financial audit of charitable activities from the day of its founding. Financial audit of the fund is conducted by KPMG Georgia, member firm of the KPMG global organization, part of the Big Four international auditing network.“

Foundation Did Not Suspend Its Activities During The Pandemic. In The Meantime It Commissioned The Tax And Financial Audit With The Purpose Of Verification Of All The Activities By The Foundation Since Its Establishment Being Transparent And Correlating With The Declared Criteria. As A Result, Foundation Had Been Officially Certified As A Charitable Organization By The Revenue Service.

The Said Status Exempts The Foundation From The Income Tax Liability As Per The Georgian Legislation. The Resulting Funds Will Be Fully Utilized For The Charitable Purposes For The Benefit Of Its Beneficiaries, Enabling The Foundation To Further Expand The Scale Of Its Activities.



ჩვენი პარტნიორები და მეგობრები

Allied Forces Foundation

2020 წლის ოქტომბერში „დაჭრილ მებრძოლთა თანადგომის ფონდის“ თანადამფუძნებელმა, პაატა პატიაშვილმა, მონაწილეობა მიიღო მაღალმთიან მარშირებაში “Appalachian Yomp 2020”. ღონისძიება გაიმართა „დაჭრილ მებრძოლთა თანადგომის ფონდის“ პარტნიორის და საქართველოს დიდი ხნის მეგობრის სტიუარტ ტელიორისა და მისი საქველმოქმედო ორგანიზაციის „Allied Forces Foundation“ ორგანიზებით. მსვლელობამ სტარტი აიღო დასავლეთ ვირჯინიაში (Harper’s Ferry) და დაასრულა პენსილვანიაში (Gettysbourg). ზემოხსენებული ღონისძიების მიზანი იყო საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და კიდევ უფრო აქტიური ჩართვა დაჭრილი მებრძოლებისა და ვეტერანების და მათი ოჯახის წევრების მხარდაჭერაში. მარშირების იდეა ემყარება გუნდური მუშაობის პრინციპს, როდესაც ყველა მოხალისე - სამოქალაქო პირი, მთავრობისა თუ ბიზნეს-სექტორის წარმომადგენელი - დაშავებული მებრძოლების მხარდამხარ გადალახავს მთიანი რელიეფის სირთულეებს 59 მილის მანძილზე. მსვლელობისას ამერიკელმა და ბრიტანელმა მეგობრებმა გამოთქვეს სურვილი და მზადყოფნა ხელი შეუწყონ საქართველოში მსგავსი ტიპის ყოველწლიური მხარდამჭერი აქტივობის ჩატარებას.



Our Partners and Friends

Allied Forces Foundation

In October 2020 co-founder of “Wounded Warrior Support Foundation”, Paa-ta Patiashvili participated in the „Allied Forces Foundation Appalachian Yomp 2020“. This activity was organized by partner of WWSF and a longtime friend of Georgia, Stuart Taylor and his charity organization „Allied Forces Foundation“. The start was taken in West Virginia’s Harper’s Ferry and ended in Gettysbourg, Pennsylvania. The aim of this activity was to raise public awareness and foster involvement in supporting wounded servicemen and service-women, veterans and their family members. The idea of Appalachian Yomp is based on a teamwork principle, where all volunteers civilians, government officials or representatives of business sector overcome the difficulties of a 59-miles-long mountainous path side by side with wounded warriors. During the “Appalachian Yomp” American and British friends expressed willingness and enthusiasm to support organizing the similar annual activities in Georgia.



ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი SNGP - ჩვენი მხარდამჭერი

ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი SNGP ფონდს დაარსების დღიდან მხარს უჭერს. SNGP-ის ძირითადი ჯგუფის ლიდერი, პირველი რანგის საზღვაო კაპიტანი შტეფან ანიგოფერი, რომლის მისია საქართველოში 2017 წლის ოქტომბრიდან 2020 წლის ივნისამდე გრძელდებოდა, ფონდს დაარსებიდან გვერდში ედგა და ეს მხარდაჭერა ფონდისთვის ყოველთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. „დაჭრილ მებრძოლთა თანადგომის ფონდი“ დიდ მადლობას უხდის (SNGP) ძირითადი ჯგუფის ლიდერს გვერდში დგომისთვის. ვუსურვებთ მას წარმატებებს.

With profound respect to
Captain (DEU N) Stephan Annighoefer,
Thank you for your sincere
friendship and support.
Good luck with your new endeavors,
you will definitely be missed in Georgia.

“Wounded Warrior Support Foundation”



Substantial NATO-Georgia Package – Our Supporter

Substantial NATO-Georgia Package SNGP has always showed its support to Wounded Warrior Support Foundation. SNGP NATO Core Team Leader Captain (DEU N) Stephan Annighoefer, who’s mission in Georgia lasted from October 2017 till June 2020, has been a friend of “Wounded Warrior Support Foundation” from the very first day of its founding. “Wounded Warrior Support Foundation” extends profound gratitude for his kind support and wishes him success.



Stephen Siller Tunnel to Towers

“დაჭრილ მებრძოლთა თანადგომის ფონდმა” დაფუძნებისთანავე დაამყარა ურთიერთობა სხვადასხვა მსგავს უცხოურ ფონდებთან, რათა მათი გამოცდილება გაიზიაროს. ფონდ “Stephen Siller Tunnel to Towers“-ის მხარდამჭერი, საქართველოში დაბადებული ამერიკელი ვეტერანი ადალბერტ (იანიკ) არაკელოვი, რომელიც, ამავედროულად, გახლავთ ფლორიდაში დაფუძნებული კომპანია „Silk Road Wines“-ის მთავარი აღმასრულებელი დირექტორი, საქართველოში ვიზიტისას, 11 სექტემბერს, შეხვდა ფონდის დამფუძნებელს, გიორგი რამიშვილს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სოციალურ საკითხთა და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის დეპარტამენტისა და ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის წარმომადგენლებთან და ფონდის ბენეფიციარებთან ერთად, რათა მეტი გაეგო საქართველოში „დაჭრილ მებრძოლთა თანადგომის ფონდის“ საქმიანობის შესახებ.



თბილისში ყოფნისას მან ევრონიუს ჯორჯიას ეთერში ისაუბრა ფონდის საქმიანობასა და მის სამომავლო გეგმებზე. ბატონი არაკელოვი და მისი პარტნიორი („Silk Road Wines“), ბატონი ბარი გრეერი წლებია ამერიკული საქველმოქმედო ორგანიზაციის მხარდამჭერები არიან. მათ სურვილი და მზაობა გამოთქვეს, რომ „Stephen Siller Tunnel to Towers“ და „დაჭრილ მებრძოლთა თანადგომის ფონდის“ მხარდასაჭერად ერთობლივი საქველმოქმედო ღონისძიება გამართონ 2021 წელს ფლორიდაში.

მოხარულები ვართ, რომ ჩვენი ფონდის მხარდამჭერთა რიცხვი იზრდება. „დაჭრილ მებრძოლთა თანადგომის ფონდი“ დიდ მადლობას უხდის კომპანია „Silk Road Wines“ და ფონდს „Stephen Siller Tunnel to Towers“ ქართველი ვეტერანების, სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახის წევრების მხარდაჭერისათვის. მათი ღვაწლის დასაფასებლად მნიშვნელოვანია მთელი საზოგადოების გაერთიანება. ამერიკაში მსგავსი ფონდების საქმიანობის შესახებ ცნობადობა მაღალია და მათ საქმიანობაში ადამიანები აქტიურად ერთვებიან - ვისაც რითი შეუძლია. სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი გამოცდილების გაზიარება, რათა საქართველოშიც ამაღლდეს ცნობადობა დაჭრილ მებრძოლთა თანადგომის ფონდისა და მისი საქმიანობის საჭიროების შესახებ.



Stephen Siller Tunnel to Towers

“Wounded Warrior Support Foundation” establishes connections with various similar funds abroad, in order to adopt their best practices. Georgian born US veteran Adalbert (Yanick) Arakelov, who is the CEO of Florida based „Silk Road Wines“, met with the Founder of “Wounded Warrior Support Foundation“ George Ramishvili together with the representatives from the Department of Social Affairs and Psychological Support of the Ministry of Defense of Georgia, the State Service of Veterans’ Affairs and wounded veterans during his trip to Tbilisi on September 11th, 2020. The meeting was aimed at learning more about WWSF’s activities.

While visiting Tbilisi Mr. Arakelov was hosted by Euronews Georgia, where he shared his views and perspectives of future cooperation with WWSF. Since Mr. Arakelov and his partner at “Silk Road Wines” Mr. Barry Greer are long-time supporters of US charity organization – “Stephen Siller Tunnel to Towers” Foundation, they expressed their good will and readiness to organize a joint fundraiser for WWSF and “Tunnel to Towers” in Florida in 2021.



We are happy as the number of our supporters and partners is increasing. “Wounded Warrior Support Foundation” extend most profound gratitude to “Silk Road Wines” and “Tunnel to Towers” for their support of Georgian veterans, service men and women and their families. It is vitally important to get united for supporting and expressing our appreciation to wounded veterans and military service men and women. In the US the awareness about such funds is very high and society actively gets involved in their activities, volunteering as they can. That’s why it is so important to share this experience in order to help raising awareness about “Wounded Warrior Support Foundation” and the needs it serves.

COVID 19 პანდემიის გამო, 2020 გამოწვევებით სავსე წელი იყო ყველასათვის. „დაჭრილ მებრძოლთა თანადგომის ფონდი“ უცვლელად აგრძელებდა თანამშრომლობას მთელი წლის განმავლობაში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სოციალურ საკითხთა და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის დეპარტამენტთან და ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურთან

2020 წლის განმავლობაში ფონდმა 655 000 ლარზე მეტი გაიღო დაჭრილი ვეტერანებისა და სამხედრო მოსამსახურეების სხვადასხვა საჭიროებისთვის.

სიღმეობისა და ყვავა შრომობრძვის მიერ გაღებული თანხებით დაფინანსდა დაჭრილი და დაზარალებული ვეტერანებისა და სამხედრო მოსამსახურეების შიდაში საჭიროებები:

ოპერაციები -----	531,230.62 ლ
საზღვარგარეთ მკურნალობა -----	23,006.62 ლ
არასრულწლოვანი შვილების დაფინანსება:	
სარაბილიტაციო კურსები და ოპერაციები --	15,463.67 ლ
მედიკამენტები -----	39,778.89 ლ
სასხოვრებადი ფართის აღკვეთა -----	2,457.90 ლ
რეაბილიტაციის კურსები -----	3,529.00 ლ
სასწავლო კურსების დაფინანსება -----	4,328.25 ლ
სამედიცინო მომსახურება -----	35,818.63 ლ

ფონდი დიდ მადლობას უხდის ყველა ადამიანსა და კომპანიას, ვინც შემოგვიერთდა და გაიღო შემოწირულობა ჩვენი დაჭრილი მებრძოლების მხარდასაჭერად.

Pandemic of COVID 19 made us all face the difficult times. “Wounded Warrior Support Foundation” continues its activities unchanged, in cooperation with Philological Support Department of Ministry of Defense of Georgia and State Service of Veterans’ Affairs

In 2020 foundation has spent more than 655 000 GEL for different needs of veterans and servicemen and women.

CONTRIBUTION OF SILKNET AND ALL DONATORS WAS SPENT FOR THE FOLLOWING NEEDS OF WOUNDED VETERANS AND MILITARY SERVICE MEN AND WOMEN:

Surgery -----	531,230.62 ₾
Medical treatment abroad -----	23,006.62 ₾
Financing of underage children -----	15,463.67 ₾
Providing medication -----	39,778.89 ₾
Adapting accommodation -----	2,457.90 ₾
Rehabilitation courses -----	3,529.00 ₾
Training courses for professional reskilling --	4,328.25 ₾
Medical treatment -----	35,818.63 ₾

Foundation thanks every individual and company, which joined the fund’s activities by donating in support of our wounded warriors.

ფონსის მმართველობა Supervisory Board



გიორგი რამიშვილი
გამგეობის თავმჯდომარე
გამგეობის წევრი
Giorgi Ramishvili
Head of Supervisory Board
Member



ალექსი თოფურია
გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე
გამგეობის წევრი
Alex Topuria
Deputy Head of Supervisory Board
Member



დავით მამულაიშვილი
გენერალური დირექტორი
გამგეობის წევრი
David Mamulaishvili
General Director
Member



პაატა პატიაშვილი
თანადამფუძნებელი
Paata Patiashvili
Co-founder



სამსონ ფხაკაძე
გამგეობის წევრი
Samson Pkhakadze
Member



გიორგი ჭირაქაძე
გამგეობის წევრი
George Chirakadze
Member



დევიდ კ. შიმპი
საქართველოს საპატიო კონსული
David K. Shimp, PhD
Honorary Consul of Georgia



WWSF

დაქრილ მეზროლოთა
თანადგომის ფონდი